# ნიანგი

10

გამოცემის 51-ე წელი, (№ 1428), მაისი. 1974. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგებო, ქალაქში ლიმიტით რომ მიხას ვაგზავნით, 60 წელს გადაცილებულია, რადა დროს მაგისი სწავლაა!
— სამაგიეროდ, რომ დაამთავრებს, სოფელს დაუბრუნდება!

ნახ. დ. ერისთავისა





# ვისია, ვისი...

ბარნოვის აღმართს შეუდგებით თუ არა, მაშინვე თვალში მოგხვდებათ სამსართულიანი შენობა. არქიტექტორთა აზრით, იგი უნდა ეკუთვნოდეს ან ამ საუკუნის დასაწყისს ან გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლების ძეგლს. ამ პერიოდის სახლს კი არ შეიძლება საძირკველში ან კედელში ოქრო არ ჰქონდეს ჩატანებულიო. ეს უკვე არქიტექტორთა აზრი აღარ გახლავთ, უბრალოდ. ასე ამბობენ გამვლელ-გამომვლელები.

ჩვენც დავინტერესდით სახლის მდგომარეობით და მის წინ შევჩერდით, ავათვალიერ-ჩავათვალიერეთ და ვიკითხეთ:

— ვისი აშენებულია ეს სახლი?

პასუხი მყისვე მივიღეთ:

— ეგ არ ვიცით, მაგრამ სახლი ვინმე რაგიმოვს ეკუთვნოდა.

— ახლა სად არის მისი პატრონი და ამჟამად ვის ხელშია სახლი?

— პატრონი ამ ორმოცი წლის წინათ წასულა გაურკვეველი მიმართულებით, ამ სახლს კი თვითნებურად დაპატრონებიან ძველი მობინადრენი მინას დანიელოვი და მინას რამიშევი, რომლებიც კარგა ხანია იმ გრძელ ქვეყანაში განისვენებენ და სახლს კი მათი შთამომავალნი ეპატრონებიან.

— ეგ როგორ, ანდერძით, ჩუქებით თუ ნასყიდობით?

— არც ერთით, არც მეორეთი და არც მესამეთი.

— აბა, მაშ როგორ?

გავკადნიერდით და სადარბაზო შესასვლელის კიბეებს ავუყევით. წინ სხვა მობინადრე შემოგვხვდა. ჩვენს შეკითხვაზე მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა:

— მე ბინის ქირას **დანიელოვს (დანიელ-ზადესაც** ეძახიან) ვუხდი, ხოლო ამ სახლს როგორ დაეუფლა, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

ამასობაში ერთი მობინადრეც ჩაგვერთო საუბარში.

— თქვენ რაისაბჭოს აღმასკომიდან ხომ არ ბრძანდებით? მობრძანდით და ნახეთ, რა პირობებში გვიხდება ცხოვრება, ჭერი თავზე გვენგრევა, ერთი ადამიანი კინაღამ იმსხვერპლა, ბეწვზე გადავარჩინეთ. იატაკი ფეხიდან გვეცლება, ერთი კედელი უკვე გადმოინგრა კიდეც, მაგრამ ამაზე ყურს არავინ იბერტყავს.

ამ პრეტენზიას სხვებიც გამოეხმაურნენ და იძულებული გავხდით თავის ღალწევის გამოსავალი მოგვენახა. იმის გარკვევაღა მოვასწარით, ეს საცხოვრებელი სახლი 57 ოთახისგან შედგება და შიგ 28 თუ 30 ოჯახი ცხოვრობს.

ამის შემდეგ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მივაკითხეთ და ასეთი განმარტება მივიღეთ: ბარნოვის ქ. №8-ში მდებარე სახლი 1940 წლიდან **მინას დანიელოვზე** და **მინას რამიშევზე** ირიცხება საკუთრების დამადასტურებელი საბუთის გარეშე.

საკითხის გასარკვევად სახლმმართველობას მივმართეთ. აქ კი გვიპასუხეს, რომ ამ სახლიდან მათ მხოლოდ ხუთი ოჯახი ეკუთვნით, ე. ი. მათზე მხოლოდ ხუთი ბინა ირიცხება, დანარჩენი კერძო მფლობელობაშია.

აქედანაც ისე დავბრუნდით, რომ ძირითადი ამოცანა ამოსახსნელი დარჩა.

ეს აბსურდული ამოცანა კი ჯიუტად გვეკითხება:

**1. სახლი როგორ მოხვდა დანიელოვის და რამიშევის ხელში კერძო საკუთრების უფლებით?**

**2. ამ სახლიდან ხუთი ბინა როგორ გადავიდა სახლმმართველობის ხელში (სახელმწიფო საკუთრებაში) და დანარჩენმა ბინებმა რა დააშავა?**

**3. რას ფიქრობენ სახლის კანონგარეშე მეპატრონენი, რომლებიც მობინადრეებისაგან ბინის ქირას იღებენ და სახლის გარემონტებისათვის კი არაფერს ზრუნავენ? ვინ ჩაერევა ამ საქმეში?**

**4. ამ ბინის თვითნებური მფლობელნი ხომ არ ელოდებიან ბინის დანგრევას და კედლებში ჩატანებული ოქროების ამოღებას? (თუმცა უიმისოდაც საკმაოზე მეტ შემოსავალს იღებენ.)**

**5. საბოლოოდ ვინ დაეპატრონება ამ სახლს, როდემდის გაგრძელდება კანონგარეშე მფლობელობა და ვინ შეაბამს ეუვანს ამ სახლის ბედ-იღბალს?**

ვ. ხმალაძე
ს. აბაიშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი



*— რაც ამათ ჭადრაკი ჩამოვართვი, მიკროსკოპისთვის თვალი აღარ მოუშორებიათ. აი ამას ჰქვია მუშაობა!*

## მოსკოვიდან თბილისამდე

ძველისძველი სიმღერაა:

ინდი-მინდი,
ინდი-მინდი,
მოსკოვიდან თბილისამდე
ორ საათში ჩამოვფრინდი.
დრო კი მაინც დამეკარგა,
(თუმც გამიჩნდა სამღერალი):
საბარგოში მალოდინეს
მთელი საათნახევარი.

სისოული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარათები ნიანგს

### პატივცემულო ნიანგო!

ქედის რაიონის სოფ. ცხმორისში შრომისმოყვარე ხალხი ვცხოვრობთ, მაგრამ მარტო შრომა რას გვიშველის თუ სოფლის მეურნეობაში თანამედროვე მიღწევებიც არ მოგვეხმარება. სად არ მივწერეთ, ვის არ შევჩივლეთ, რომ ჩვენს მიწებს მინერალური სასუქები სჭირდებოდა. კოლმეურნეობა მინერალურ სასუქებს ხელზე ვერ შეისყიდის.

აჭარკოოპკავშირში კი ზოგიერთ პასუხისმგებელ მუშაკს მინერალურ სასუქს მინერალური წყალი ურჩევნია!

**კოლმეურნეები**

### ძმაო ნიანგო!

ხომ მოგეხსენება ქართველი კაცის ამბავი — თუ ნამდვილად არ იცის რასა სვამს, იმ ღვინოს, თუ სხვა სასმელს, პირს არ დააკარებს. ზოგი პროფესიონალი დეგუსტატორივით გემოთი და სუნით მიხვდება ვინცა ვართ, რაცა ვართ, ზოგს კი (უმეტესობას!) ჩვენი იარლიყი ესაჭიროება. აი, სათქმელსაც მივადექით: დაგვაწებებენ ამ იარლიყს ქარხნებში და მაღაზიამდე ვერც ვაღწევთ, მაშინვე გვძვრება, გზაში გვცვივა ფრიალ-ფრიალით, იხევა და იჭმუჭნება. მერე მოგვდგება მომხმარებელი და შეგვანჯღრევს, სინათლის შუქზე გაგვხედავს, ეჭვის თვალით გაგვბურღავს... რა ხართ, ვინა ხართ, როდისა ხართ ჩამოსხმულიო...

რა გაუჭირდათ ჩვენს ქარხნებს ისეთი წებოს შოვნა, რომ უბრალო ქაღალდი დააკრან, მაშინ როდესაც ჩვენს დროში ფოლადის ნაწილებს აწებებენ სუპერწებოებით.

არადა, ჩვენ ხომ ვიცით ზოგიერთი ხელმძღვანელი, პასუხისმგებელი მუშაკი ისეა სკამს მიწებებული, რომ დღემდე ვერ აუგლეჯიათ!..

ჰე, ძმაო, იქნებ, ჩვენც გვიშოვო ისეთი წებო?!

**შენი ღვინო, ლუდი, ლიმონათი.**



### ქვირფასო ნიანგო!

ბოლნისში გაზაფხული მოვიდა, მაგრამ მაიაკოვსკის ქუჩის მცხოვრებლებს არ გვიხარია, შიშის გრძნობა გვაწუხებს. ჩვენს ქუჩას ხევი ჰკვეთს, რაზედაც ხიდი იყო გადებული. ხიდი ჩაინგრა და ნანგრევებმა ხევი გადაკეტა. ახლა იმის მოლოდინში ვართ, თუ როგორ წაიღებს მოვარდნილი წყალი ჩვენს სახლებს. ცურვის შესწავლა ბავშვებს უკვე დავაწყებინეთ მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკას კი მოვარდნილ წყალში გაივლიან.

გიგზავნით სურათს სპექტაკლიდან „ჩატეხილი ხიდი“, რომელიც დაიდგმება ბოლნისში. გთხოვთ მოგვეშველო პრემიერამდე.

**მაყურებლები**

ნახ. მ. აბაშიძისა



— ამხანაგო, დღეს მიღება არა მაქვს!
— მე მიქელგაბრიელი ვარ!



— შეცდომით ხომ არ დააკავეთ, ბატონო, ეგ სულ პატიოსნებაზე გველაპარაკებოდა მეზობლებს!

# ჭორდოლოგია



# ექსკურსია

სასტუმროდან ექსტრავაგანტურად ჩაცმული გიდი გამოვიდა დ· მკვირცხლად ახტა წითელ „იკარუსში“.

— გუდ მორნინგ! — ხელის აწევით მიესალმა ტურისტებს და მისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩაჯდა. შემდეგ ფეხი ფეხზე გადაიდო, მიკროფონს რამდენჯერმე თითი დაჰკრა, ჩაჰბერა და ექსკურსია დაიწყო.

— პატივცემულო სტუმრებო, თქვენ იმყოფებით საქართველოს დედაქალაქ თბილისში! თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია!.. ეს გახლავთ რუსთაველის პროსპექტი! რუსთაველი ყველამ იცით, ამაზე არ შევჩერდები!.. ეს მუზეუმია! ესეც პიონერთა სასახლე!.. ეს ძველი თბილისი!..

— მაპატიეთ, რამდენია თბილისის მოსახლეობა?! — მორიდებით იკითხა ერთ-ერთმა ტურისტმა.

— მილიონ...

— 875 ათასი. — დააზუსტა ქერათმიანმა ტურისტმა ქალიშვილმა და როცა კისერმოქცეულ გიდს სახეზე გაოცება შეატყო, მომხიბლავად გაუღიმა.

— მარჯვნივ ქართლის დედაა, მარცხნივ — ტელევიზიის ვიშკა!..

— მოსახლეობის რამდენ პროცენტს აქვს ტელევიზორი? — დაიძახა უკანა რიგიდან ხანში შესულმა ჩია მამაკაცმა.

— ჰმ?!. ზუსტად ვერ გეტყვით!..

— 85 პროცენტს! — კევის ღეჭვის რიტმს ამოაყოლა თმა-წვერმოშვებულმა ზორბა ახალგაზრდამ.

— ოჰო! — გაუკვირდა გიდს — „ნაღდად შპიონია!“

— მერამდენე ქალაქია თბილისი საბჭოთა კავშირში, სადაც ფერადი ტელევიზიაა? — კრიჭაში ჩაუდგა ის კატასავით მიკნავებული ჩია აბეზარი.

— მესამე. — დაასწრო „შპიონმა“.

„ბიჭოს!“ — გუნებაში გაუხარდა გიდს. — „მესამე ადგილიც საპრიზოა!“

ავტობუსი რწევა-რწევით მიუყვებოდა თბილისის ქუჩებს.

— საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მრეწველობის რა დარგები წარმოიშვა საქართველოში? — იკითხა ვილაცამ.

გიდმა საჩვენებელი თითით ვეებერთელა სათვალე შუბლზე აიწია და „იმ ვილაცას“ შეუბღვირა.

„გადასარევია, რით აღარ ინტერესდება ეს ხალხი?! გამაგიჟებენ!“ — ტუჩი აბზიკა მან.

— მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ავია, დაზგათმშენებელი, ქიმიური, ელექტრო და მრავალი სხვა. — თავისთვის ჩაილაპარაკა დარბაისელმა სტუმარმა ქალმა.

ნირწამხდარ გიდს სახე გაებადრა.

— სწავლა-განათლებაზე რას გვეტყვით? — დაიწრიპინა დარბაისელი ქალის გვერდით ვეებერთელა ჰალსტუხიანმა ქონდრისკაცმა.

— რას და, ვსწავლობთ, ბატონო! — გასხეპილი თავაზიანობით მიუგო გიდმა.

— საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელია, ყოველ ათი ათას მცხოვრებზე ორჯერ მეტი სტუდენტი მოდის, ვიდრე საფრანგეთში და ცამეტჯერ მეტი, ვიდრე ირანში... — სხვათა შორის თქვა გულჩაღეღილმა, პირხმელმა ახალგაზრდამ, რომელიც დაუდეგარი იერით იცქირება ფანჯარაში.

„აბა, რა ეგონათ!“ — იხტიბარი არ გაიტეხა გიდმა.

— თქვენს ნაქებ ღვინოებზე რას გვეტყვით?

— არ უნდა ლაპარაკი! „ჩამოასხი, ერთიც უნდა დავლიო!..“ — წაუღიღინა გიდმა.

შუახნის უცხოელი ვაჟკაცი ექსკურსიამძღოლივით მიუბრუნდა მსმენელებს:

— ყოველ სამარკო ღვინოსა და კონიაკს არა ერთი და ორი ოქროსა და ვერცხლის მედალი აქვს მიღებული საერთაშორისო კონკურსებზე. თუ 1921 წელს ვენახების ფართობი 36 ათასი ჰექტარი იყო, დღეს 120 ათასი ჰექტარია.

მანქანა ახალ რაიონებს უახლოვდებოდა.

ავტობუსში უკვე გაცხოველებული საუბარი იყო გაჩაღებული, ტურისტები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— ამ ნახევარ საუკუნეში მრეწველობა 85-ჯერ გაიზარდა...

— ახლა, ხუთ დღეში, იმდენ პროდუქციას უშვებს რესპუბლიკა, რამდენსაც მთელი წლის განმავლობაში უშვებდა რევოლუციამდე...

— აქ აკადემიები ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში არსებობდა...

— საქართველო წიაღისეულის უმდიდრესი საუნჯეა...

— მსოფლიოს 60 ქვეყანაში იგზავნება ქართული ექსპორტი...

— უძველესი დამწერლობა... შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლები... უნიკალური ოქრომჭედლობა... ფერწერა...

მხოლოდ სმენად გადაქცეული გიდი იჯდა უსიტყვოდ. იგი თითქოს გაქვავებულიყო სავარძელში. მას სიამაყის ცრემლი უბრწყინავდა თვალებზე.

**ზ. ყორღანაშვილი**

ნახ. ზ. ლეჟავასი



— რა მოუვიდა საწყობის გამგეს?
— ჩაწოლილი საქონლის ქვეშ მოჰყვა!

ნახ. ელისო მაჟაჟვილისა



— პირველი ჯგუფი არ არის, არც მეორეა, მესამეც არ უნდა იყოს...
— საფერავია, ექიმო!

## ხინკლის ქება

ენიდან და მინდან დაწყებული, ვიდრე ბოლომდე და გუთნამდე, სულითა და უსულოს, დედა [illegible] ამ ქვეყანაზე. [illegible] ასეც ვეძახით: [illegible] ცით ქალისა.

ხინკალი და ალერსი? ხინკალი და ქალის ხელის მონატრება? აღუ, აღუ, ხინკალო, ემანდ იავნანა და აკვანი არ მოგვთხოვოო, —ჩაიქირქილებს მავანი და მავანი ზორბა, ქონში გაცურებული კაცი.

რად არა, თქვე კაი ხალხო, რად არა, აგრემც მალამოდ დაგადნებით კუჭზედა, განა ჩვენი მოფერება თქვენი მოფერება არ არის, ჩვენი ლოყები კი — თქვენი საკოცნელი?

მადა ჭამაში მოდის... ასე იყო ძველად, ასეა ახლაც. ჰოდა, ერთი თვალისჩაკვრით, ურიგოდ, ძმაბიჭების მისამართით გაგზავნილი ასი ხინკლის ბული ცხვირს როცა ნერვულად აგიტოკებთ, სად გარბის კისრისტეხით თქვენი წილი მადა?

აგრემც ჩვენსავით მტერი დაგელიოთ, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ვითომ ჯერ არ წაგხდენიათ ხასიათი, როცა ცერა, საჩვენებელ და შუათითს შორის ვეღარ გიპოვნივართ?

ისიცა თქვით, ათ ცალ ხინკალში დევკაცს როცა მანეთიანს უკუჭავთ, ჩვენს მაგიერ ბოღმა ჩაგიყლაპავთ თუ არა?

რისი გულისფრიალი, გული კარგა ხანია გასკდომაზე გვაქვს, გული, ლოყები და მუცელი კი — არა!

მუცელი დევკაცს უსკდება, ხინკლის მამას, მამას კი არა, მამინაცვალსა, ზეზეულა რომ ჩამოგვადნო, ფერი და ხორცი რომ წაგვართვა, დაგვლია, დაგვაპატარავა, იმიტომაც უსკდება...

ქალის გულისა და თითების სითბოს, ქალის კალთასა და ღიმილს დანატრულნი ვართ და ნუ შეიცხადებთ, თუ დედა გვინდა, ხინკლის დედა...

დედა, ჩვენი ტკბილი დედილო გვაპოვნინეთ, ხალხო, დედის ნაწი თითებით ვინძლო ისევ დაგვეხუროს ნამუსის ქუდი, აგრემც მალამოდ დაგადნებით კუჭზედა..

**ზაზა კაციაშვილი**



— რა არის ეს, მოლინაეთა დაფაა?
— არა, კაცო, დირექტორმა დაგვავარიგა — ესენი ინტრიგანები არიან, ხურდა დაუბრუნეთ!

ნახ. ჯ. ლოლუასი



— რა გაინტერესებთ იტალიაში?
— დუგლიონკა!

ნახ. ა. კანდელაკისა



— იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჯადოსნური სოფელი, სადაც ყოველდღე ავტობუსი დადიოდა...

## ფრანგი მწერლების ხუმრობები

ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი თავი მოსწონთ, — ცუდი გემოვნება აქვთ.

ბალზაკი

— ქალს მხოლოდ ერთადერთი საიდუმლოს შენახვა ძალუძს, — ასაკის დაფარვა.

ვოლტერი

— ფულს ბედნიერება არ მოაქვს, სამაგიეროდ უბედურებაში გიჩენს თანამოზიარეს.

ველარი

— ყველა ადამიანი მსახიობია, ზოგიერთი სცენის მოღვაწის გარდა.

გიტრი

— მეხსიერებას ყველა უჩივის, მაგრამ არავინ უჩივის თავის ჭკუას.

შამფორი

— ტალახი მუქ შარვალზე თეთრ ლაქას ტოვებს და ბაც შარვალზე — შავს.

ველარი

## მოტაცება

არაფერმა არ გაჭრა, არც ხვეწნა-მუდარამ, არც ნაცნობმეგობრების ჩარევამ, არც შუამავლების მიგზავნამ. სხვა გზა არ იყო, უნდა მოგვეტაცა. დროც აღარ ითმენდა, დაყოვნება შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო — სხვებს მოეტაცათ .ამიტომ იმავე დღესვე შევკრიბე ძმაკაცები და ვთხოვე მოტაცებაში დამხმარებოდნენ.

ყველაფერი წინასწარ იყო ჩაფიქრებული: ის გამოვიდოდა სამსახურიდან, ავტობუსით გაივლიდა რამდენიმე გაჩერებას და თავისი სახლის წინ ჩამოვიდოდა. შევიდოდა თუ არა სადარბაზოში, ჩასაფრებული ბიჭები ჩუმად მიეპარებოდნენ, პირზე ხელებს ააფარებდნენ და იქვე, ეზოს კუთხეში მდგარი მანქანისაკენ გააქანებდნენ. რადგან აქ ეზო ჩაბნელებული იყო, მათ არავითარი საშიშროება არ ელოდათ.

მართლაც, ყველაფერი ჩანაფიქრის მიხედვით წარიმართა, სადარბაზოში შესვლისთანავე სტაცეს მას ხელი და წამში ავტომანქანაში უკრეს თავი...

გვიანი საღამო იყო, როცა კარები შეაღეს და პურ-მარილით სავსე მაგიდებთან მიჯრით მიმსხდარ ხალხს სიხარულით აუწყეს: მოვიყვანეთ! მოვიყვანეთ!..

— ტყუილად მომიტაცეთ, ნებით არ დაგთანხმდებით და ძალითაც ვერაფერს გახდებით ჩემთან, თავს მოვიკლავ და... არ დავდგები თამადად! — კატეგორიულად გვტკიცა უარი მოტაცებულმა.

**ვანო ცინცაძე**

## მაკლებს!

კილოგრამზე ას გრამს მაკლებს,
კარაქს მაკლებს, შაქარს მაკლებს,
ძეხვსაც მაკლებს, ხურდას მაკლებს,
მაკლებს, მაკლებს, მაკლებს, მაკლებს!..
ვაქრე, ვაქრე გულში ბოღმა,
მაგრამ მაინც ვერ ჩავაქრე...
გავუჯავრდი, დავემუქრე,
ბევრჯერ საჯაროდაც დავგმე,
მაგრამ, შენ ნუ მომიკვდები,
თავს რად იტკენ? არ გაქვს საქმე?
აქ ვუჩივლე, იქ ვუჩივლე,
ჯერჯერობით, ვერას ვაკლებ,
ის კი ისევ არხეინად
მაკლებს, მაკლებს, მაკლებს, მაკლებს!..
მაკლებს დღისით, მზისით მაკლებს,
თან მიცინის, თან მიღიმის,
მის მაგივრად მე ვწითლდები,
და ლოყები შემეფაკლნენ...
ის კი, თითქოს არაფერი,
მაკლებს, მაკლებს, მაკლებს, მაკლებს!..
ვაქრე, ვაქრე გულში ბოღმა,
მაგრამ მაინც ვერ ჩავაქრე!
ქურდი, დღეს რომ ნემსს იპარავს,
მოიპარავს ხვალე აქლემს!

**ბექან სვანიძე**



## არ გეცოდებათ?...

გამომცემლობაში უცნობი შემოვიდა, თანამშრომლები შეათვალიერა და სხვათა შორის მომმართა:

— მაპატიეთ, რას აკეთებთ?

— ვცემთ. — სხვათა შორის ვუპასუხე მეც.

— ვის? — უცნობმა შიშით მიმოიხედა და უკან დაიხია.

— ვის კი არა, რას.

— ბოდიში... რას?

— წიგნებს. — მივუგე მე და მაგიდაზე დახვავებულ ანაბეჭდებს ხელი დავარტყი.

— მართლა? — უცნობმა სიბრალულით დახედა ანაბეჭდებს, — მერედა, არ გეცოდებათ?.. — ალარცთუ სასხვათაშორისოთ იკითხა მან.

**ვ. ახვლედიანი**

ქიშვარდ ისაკაძე

# მეტის

მე: ეჰ, ძმობილო, არცთუ დიდი ხნის წინათ,
როცა ვნატრობდი ერთოთახიან ბინას,
როცა ხელფასის ეკონომიის მიზნით,
თავს ვიჯაფავდი ყველგან ქვეითად მისვლით,
როცა ვნატრობდი ჭყინტ სულგუნს ცხელი მჭადით,
და სათალს მხოლოდ სტუმრად ყოფნის დროს ვჭამდი,
მზე იციხოდა, თოვდა, თუ ქარი ქროდა,
ჩაფ ღვინოს ვსვამდი და გული კარგი მქონდა.
ახლა ნამდვილად რძეც არ მაკლია ჩიტის,
მაგრამ რა მერე... შიმშილით გული მიმდის!
რომ ვჭამ, სხეულის ყველა უჯრედი მტკივა,
გაგიგონიათ, სადმე, ცხენს სწყენდეს თივა?
ის: მაგ სენს „მდიდროფულომანია“ ჰქვია,
კაცს ღუპავს, როგორც ზედმეტი წყალი ღვიას.
ეს ბრძანეთ, წნევა მაღლა ხშირ-ხშირად გიწევთ?
ჰიპერტონიას ნერვიულობაც იწვევს!
— ღმერთივით ვცხოვრობ, სანერვიულო რა მაქვს!
— როგორ თუ რა გაქვთ, ახლავე გეტყვით ამას:
ბინა კარგი გაქვთ? ავეჯიც კარგი გიდგათ?
თქვით, გულახდილად, ხომ უკეთესი გინდათ?
ვიცი, გახარებთ „ჟიგულის“ მარკის ავტო,
მაგრამ, გამოტყდით: ხომ ახალ „ვოლგას“ ნატრობთ?
გაქვთ აგარაკიც, მთაში, მორთული კარგად,
მაგრამ ხომ სწუხართ, რომ ზღვისპირზედაც არ გაქვთ?
შვილს გზას უწალდავთ ფულით — პატარა ღმერთით,
მაგრამ ხომ დარდობთ, რომ მას ექიმად ვერ ზრდით?!
მაღლა რომ ადის უახლოესი თქვენი,
ხომ იმუხტებით იდუმლად შურის დენით?
როს ფრთები ესხმის კარის მეზობლის იმედს,
ხმა ხომ უწყდება თქვენი ჩანგურის სიმებს?
კიდევ მეტს გეტყვით: კოსტუმია თუ პალტო,
ხომ ისეთი გსურთ, ერთადერთს გეცვათ მარტო?!
რატომ დაგედოთ სახეზე ფერი მიწის?
დღეს თქვენს ტაფაში ძალიან ბევრი იწვის.
— ეგ ვიცი... რითი შემიმსუბუქებთ ურვას?
— თქვენს მსგავსებს მხოლოდ ცივი სამარე კურნავს!

* * *

მან სწორზე-სწორი მითხრა და მზად ვარ, დღესვე,
კაპრონის ყულფით დავიხრჩო თავი ხეზე!





ნახ. ვ. კუციას

ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა



— ჟვაჩკა!.. ჟვაჩკა!.. კვააა...

## აზრიანი ფრაზები

ნამდვილი უბედურება ისაა, როცა სამსახურში შემთხვევით დაიგვიანე და სწორედ იმ დღეს უფროსმა შემთხვევით არ დაიგვიანა.

ჩაის ჭიქამ თქვა: ჩაი მენატრება, თორემ ღვინო ყელში ამომდისო.

გიგლა ბახტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქეგათა ქეგა ჭიკაანის კლუბს

1959 წელს სოფელ ჭიკაანის კოლმეურნეობამ თავისი სახსრებით დაიწყო კლუბის მშენებლობა. კედლები აიყვანეს გადახურვამდე და ახლა ინგრევა და მიწაში იმარხება.

გვაქვს ჩვენ განცხადება
სოფელ ჭიკაანის:
კლუბი დაგვიმწინილდა
ჯერაც უმწიფარი,
კედლებს კვლავ ემჩნევა
ოსტატთ ნათითარი,
ქვასაც აატირებს
ჩვენი სამძიმარი.

რიღასთვის შემწყდარა
ნეტავ აღმაფრენა,
ვინღამ შეაჩერა
უხვი ქვათაფენა?
რატომ მიატოვა
და არ დაამშვენა
და კლუბს სახურავი
ვინ არ დააშენა?
დგას ახლა სოფელში,
როგორც ნაციხარი,
ქვა-ღორღად ქცეული,
მერე, რა მდიდარი?
როსღა ელირსებათ
კლუბში რამტიტარი.

ა. ადეიშვილი

# ქალო, პლატფორმიანო!

მოგონებები მატირებს, —
მწარე ფიქრებში წასულს.
იალბუზივით შეგცქერი, —
მაგ სიმაღლეზე ასულს!

* * *

„ლეკვი ლომისა სწორია...“ —
აფორიზმია ბრძნული.
ჩამოდი, ერთად ვიაროთ,
რამ გაგიცივა გული?!

* * *

„წყალს მირევ, ოჯახს მინგრევო!“ —
სულს მხდი, — ეჯავრებით მთვრალი.
„შენ ზევითა ხარ, მე — ქვევით“,
ვით აგიმღვრიო წყალი?!

* * *

ისეც მაღალი იყავი,
ახლა ღრუბლებში ჩანხარ!
ქალი ხარ, ტელეკოშკი ხარ,
მწვერვალი ხარ თუ, რა ხარ?!

ივერი თაბაგარი

# უცხოური იუმორი



რედაქტორი ეკითხება კორესპონდენტს:
— რა გითხრათ პრეზიდენტმა?
— არაფერი.
— შესანიშნავია! სასწრაფოდ დაწერეთ რეპორტაჟი, მხოლოდ ერთ გვერდზე მეტი არ იყოს!

* * *

წარწერა ავტოსარემონტო სახელოსნოს კარზე: „მუხრუჭების შემოწმება ღირს სამი დოლარი, დამარხვა — სამასი. დაფიქრდით და კარგად აწონ-დაწონეთ!“

— რატომ არ არის ამერიკის პრეზიდენტთა შორის თუნდაც ერთი ქალი?
— ნუთუ არ იცით, რომ პრეზიდენტად მხოლოდ 35 წელს გადაცილებულს ირჩევენ?

* * *

ხანში შესული სინიორა თავის მეგობარს ეუბნება:
— აი, ფოტო კრეისერ „ვიქტორიასი“, რომელსაც ოცი წლის მანძილზე ჩემი ქმრის საშუალებით ვხელმძღვანელობდი!



— მე წელში გავწყდი, ხოლო ძაღლს ვუშოვე რომ გასეირნება-მეთქი და ამან ძაღლს აჭამა!



უტექსტო

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ბეჟანიშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლეჩავაძე (პ/მგ. მდივანი), ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.),
გ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. ზვიადაძე, ვ. ფირცხალავა, თ. ჯელიძე, ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.
⊙ ტექნიკური რედაქტორი გ. ქუხალეიშვილი, ⊙ თბილისი, ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ● გადაეცა ასაწყობად 25/IV-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/V-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ. 1631. უე 01774. ტირაჟი 134.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82.

ნახატებისათვის თემები მოგვაწოდეს: ი. თაბაგარმა, თ. ჭეიშვილმა, ნ. ქელეხსაშვილმა, შ. ... შვილმა, ა. ... შვილმა, ... აბაშიძემ.

1974.

ნახ. გ. ფირცხალავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა
Индекс 76137

— ჩემო ჰამლეტ, ჰენრიხ, ჰელმუტ, ზიგფრიდ, ჯილბერტ, მოდით, ყველამ ერთად შევსვათ ჩვენი საყვარელი სამშობლოს — საქართველოს — სადღეგრძელო!



366 74
31.V